საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 მარტის №599 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო 892 445 (რვაას ოთხმოცდათორმეტი ათას ოთხას ორმოცდახუთი) ლარი, 2025 წლის თებერვალში, დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის დროს სტიქიასთან ბრძოლაში აქტიურად ჩართულ დასაქმებულებზე ფულადი ჯილდოს/დანამატის გაცემის მიზნით.